

შპს „ეკოლარი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
პეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	10
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	10
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
8. ძირითადი საშუალებები	11
9. ფულადი სახსრები	12
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
11. მარაგები	12
12. გრძელვადიანი სესხები	13
13. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	13

შპს „ეკოლარი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

—

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	14,160,549
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(12 836 078)
საერთო მოგება		1,324,471
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 169 980)
საოპერაციო შემოსავალი		146 035
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		11 005
საპროცენტო ხარჯი		(71 911)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(26 505)
წლის სრული მოგება		67,080

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 1 ოქტომბერს :

გიორგი ბოხუა
დირექტორი

შპს „ეკოლარი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	14,160,549
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(12 836 078)
საერთო მოგება		1,324,471
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 169 980)
საოპერაციო შემოსავალი		146 035
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		11 005
საპროცენტო ხარჯი		(71 911)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(26 505)
წლის სრული მოგება		67,080

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 1 ოქტომბერს :



გიორგი ბოზუა
დირექტორი

შპს „ეკოლარი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები 8	147 331	160 682
არამატერიალური აქტივები 1	1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები	147 332	160 682
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები 9	27 921	127 470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10	445 525	371 749
საგადასახადო აქტივი	93 024	126 461
მარაგები 11	1 874 011	1 928 949
სულ მიმდინარე აქტივები	2 440 481	2 554 630
სულ აქტივები	2 587 813	2 715 312
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი 200	200	200
გაუნაწილებელი მოგება 233 190	233 190	166 110
სულ კაპიტალი	233 390	166 310
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები 12	710 912	735 159
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	710 912	735 159
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები 13	1 643 511	1 813 842
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 643 511	1 813 842
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	2 587 813	2 715 312

შპს „ეკოლარი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2019	200	166 110	166 310
მიმდინარე წლის მოგება		67 080	67 080
კაპიტალის შემცირება			
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	200	233 190	233 390

1. კორპორატიული ინფორმაცია

ეკოლარი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2010 წლის 9 ნოემბერს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 401951955.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ეკოლარი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით. ასევე კომპანია ეწევა საცალო ვაჭრობას როგორც კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში, ისე არასპეციალიზებულ მაღაზიებში უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით. კომპანიაში დასაქმებულია 50 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ცემის ქუჩა, № 3

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 25-25%-იან წილებს ფ/პ გიორგი ბოხუა, ფ/პ თენგიზ მანჯგალაძე, ფ/პ სოფიო ჯორდანიასა და ფ/პ ქეთევან ყვავილაშვილი ფლობენ.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა მსს ფასს-ის შესაბამისად.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ეკოლარის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა ნაგებობები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ავიჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამა APEX	7 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს ფიფო მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას,

დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „ეკოლარი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	14 014 798
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	140 141
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5 610
ჯამი	14 160 549

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2020
მზა პროდუქციის ღირებულება	12 836 078
ჯამი	12 836 078

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

აღწერა	2020
შრომის ანაზღაურება	763 751
საიჯარო ქირა	271 884
სხვა ხარჯები	67 289
კომუნალურის ხარჯი	35 449
ცვეთა და ამორტიზაცია	15 793
სამეურნეო ხარჯი	10 821
კომუნიკაციის ხარჯი	4 993
ჯამი	1 169 980

შპს „ეკოლარი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კუთილმონაცობა	ჯამი
თვითღირებულება							
ნაშთი 31-12-2019	192 394	120 590	48 319	23 419	17 100	22 262	424 083
შესყიდვები		2 442					2 442
გაყიდვები							
ნაშთი 31-12-2020	192 394	123 032	48 319	23 419	17 100	22 262	426 525
ცვეთა							
ნაშთი 31-12-2019	(42 243)	(111 144)	(48 293)	(22 359)	(17 100)	(22 262)	(263 401)
ცვეთა	(9 772)	(5 335)	(26)	(659)			(15 793)
გასვლა							0
ნაშთი 31-12-2020	(52 016)	(116 479)	(48 319)	(23 019)	(17 100)	(22 262)	(279 194)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 31-12-2019	150 150	9 445	26	1 060	0	0	160 682
ნაშთი 31-12-2020	140 378	6 552	(0)	401	0	0	147 331

შპს „ეკოლარი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ფულადი სახსრები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	14 848	59 142
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6 760	65 430
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	6 313	2 898
ჯამი	27 921	127 470

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	441 786	358 670
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 739	13 079
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445 525	371 749
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტო	445 525	371 749

11. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	1 927 415	1 927 415
ნედლეული და მასალები	1 534	1 534
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1 928 949	1 928 949

შპს „ეკოლარი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. გრძელვადიანი სესხები

გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	1 დეკემბერი 2019
სს საქართველოს ბანკი	7.2 %	USD	109 596	166 680
სს საქართველოს ბანკი	8.5 %	USD	-	37 387
სს საქართველოს ბანკი	7.85 %	USD	-	31 092
სს საქართველოს ბანკი	7.7 %	USD	-	-
სს საქართველოს ბანკი	11,85 %	GEL	-	500 000
სს საქართველოს ბანკი	12%	GEL	101 316	
სს საქართველოს ბანკი	12%	GEL	100 000	
სს საქართველოს ბანკი	12.1%	GEL	400 000	
			710 912	735 159

კომპანიას საქართველოს ბანკისგან აღებული სესხები უზრუნველყოფილი აქვს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობით რომლის საკადასტრო კოდია : N 01.13.06.011.036.04.002.

13. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 643 511	1 805 342
მიღებული ავანსები	-	8 500
ჯამი	1 643 511	1 813 842